ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 10 ივლისის სხდომის

ოქმი #6

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 10 ივლისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 29 წევრი, სხდომას ესწრებოდა 18 წევრი. სხდომას აგრეთვე ესწრებოდა დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თამარ ჭელიძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

საბჭოს წევრებმა მიმდინარე სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს პროფესორი ომარ ფურთუხია.

დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა;
2. საბაკალავრო, სამაგისტრო თემების სათაურებში ცვლილებების შეტანა;
3. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილებები საბჭოს წევრების წინაშე განსახილველად გამოიტანა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. საბაკალავრო პროგრამა „მათემატიკა“, სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“, საბაკალავრო პროგრამები „კომპიუტერული მეცნიერება“, „კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)“, „კომპიუტერული მეცნიერება ქართულ-ფრანგული“, სამაგისტრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა მ.ხაჩიძემ, ა.გამყრელიძემ, ო.ფურთუხიამ.

სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში: საბაკალავრო პროგრამა „მათემატიკა“, სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“, საბაკალავრო პროგრამები „კომპიუტერული მეცნიერება“, „კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)“, „კომპიუტერული მეცნიერება ქართულ-ფრანგული“, სამაგისტრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება“ (იხ. დანართი 1).

2. მოისმინეს: ინფორმაცია დღის წესრიგის მეორე საკითხის - საბაკალავრო, სამაგისტრო თემების სათაურებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ცვლილებები ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო თემების სათაურებში (იხ. დანართი 2).

სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საბაკალავრო, სამაგისტრო თემების სათაურებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო თემების სათაურებში (იხ. დანართი 2).

3. მოისმინეს: ინფორმაცია დღის წესრიგის მესამე - დამატებითი საკითხის შესახებ. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს განსახილველად წარუდგინა ფიზიკის დეპარტამენტის ინიციატივა მეორე კორპუსში მდებარე 327 აუდიტორიისთვის წარსულში თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორის, ღვაწლმოსილი და დამსახურებული მეცნიერის გია მრევლიშვლის სახელის მინიჭების თაობაზე (იხ. დანართი 3).

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.შათაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მეორე კორპუსში მდებარე 327 აუდიტორიისთვის ღვაწლმოსილი და დამსახურებული მეცნიერის გია მრევლიშვლის სახელის მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: მეორე კორპუსში მდებარე 327 აუდიტორიას მიენიჭოს წარსულში თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორის, ღვაწლმოსილი და დამსახურებული მეცნიერის გია მრევლიშვლის სახელი.

სხდომის თავმჯდომარე,

პროფესორი ომარ ფურთუხია

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,

ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი

თ. დავითაშვილი